ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი.

ივნისი.
№ 11
1911
წელიწადი მეშვიდე
მსირე წლოვანთათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი:

I—ეჰ, რა წვიმაა,—სურათი 1

II—მერცხალი,—ლექსი, შ. მდგომელისა 3

III—საბრალო მზე-წვიმ,—იდ. რუსაძისა 5

IV—ამპარტავანი მჭედელი—(ფრანგულიდან) გიორგი ჯაბადარისა 9

V—ბიჭო გოგია,—(შემდეგი)—ირ. ევდოშვილისა . . . 14

VI—ობობას ქსელი,—(ვაგნერიდან)—დ. ეიფიანისა. . . 19

VII—მგალობელი ჩიტი,—(ოარგმანი) N—ისა 21

VIII—გასართობი: გამოცანები, ცხრილით და არითმეტიკული ამოცანები, რებუსი და აღსნა 23

ტფილისი, ელექტ.-მბეჭ. ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., საკ. სახლი № 5

წელიწადი მე-VII. № 11 ივნისი 1911 წ.

ოჰ, რა წვიმაა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

I—უჰ, რა წვიმაა,—სურათი 1

II—მერცხალი,—ლექსი, შ. მდვიმელისა 3

III—საბრალო მზე-წვია,—ილ. რუხაძისა 5

IV—ამპარტავანი მჭედელი—(ფრანგულიდან) გიორგი ჯაბადარისა 9

V—ბიჭო გოგია,—(შემდეგი)—ირ. ეგდოშვილისა . . . 14

VI—ობობას ქსელი,—(ჟაგნერიდან)—დ. ეიფეანისა. . . 19

VII—მგალობელი ჩიტი, (თარგმანი) N—ისა". . . . 21

VIII—გასართობი: გამოცანები, ცხრილით და არითმეტიკული ამოცანები, რებუსი და აღსნა 23

ტფილისი, ელექტ.-მბეჭ. ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., საკ. სახლი № 5.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მერცხალი.

(გადმოკეთებული).



ბოლი ქალი—გოგონა—
მწარედ ოხრავდა, გმინავდა,
და მის ზემოდან ფრთა-ძალი,
ცქვიტი მერცხალი ფრინავდა.

დაჭქროდა ჭიკჭიკ-გალობით,
როგორც ნიავი მთაზედა;
თითქმის ფრთებს ულამუნებდა
ობოლს სუჭუჭა-თმაზედა.

—რა გინდა ჩემგან, მერცხალო,
რას დამტრიალებ თავზედა?
გამიშვი, უბედური ვარ
ისედაც ქვეყანაზედა!

—არ მოგეშვები, გოგონავ,
ვიდრე ძალა მაქვს ფრთისაო,
უნდა რამ გითხრა ჰატიმარ,
ტანჯულ-წამებულ ძმისაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთხოვა: ,,გაფრინდი, მალხაზო,
,,ნახე სამშობლო მხარეო;
,,სალამი მიეც ჩემს დასა,
,,სალამი გულ-მხურვალეო.

,,კიდევ მიგონებს და ტკბილი,
კიდევა ფიქრობს ჩემზეო.
და კვლავ ჩამოსდის კურცხალი
მძისათვის, ცრემლი ცრემლზეო?''

შ. მღვიმელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საგრალო მზე-წვია.

აიმე, ვაიმე,—დავიღუჰე, მიშველეთ! სწორედ მიაგნეს ამ შეჩვენებულებმა. დამეხმარეთ, მომაცალეთ ეგ წეშულები, თორემ დაანიავებენ ჩემს საუვარელ ოჯახს, წაასხმენ, დამიხოცენ ტანჯვა-ვაებით დაზრდილს შვილებს...—კვნესოდა მზე-წვია, ცხარე ცრემლს ღვრიდა, მოუსვენრად ხტოდა ერთს ტოტიდან მეორეზე და თან თვალს არ აშორებდა თავის ბუდეს, რომელიც მახლობელ ხის ფუღუროში ჰქონდა გაკეთებული...

— მზე-წვიას ბუდე, ბალღებო, მზე-წვიასი,—გაბარებული იმახდა ვანო.

— აბა, სადა? სად?—ეკითხებოდნენ სხვები და თვალებს იქეთ-აქეთ აცეცებდნენ.

— აი აქ, ამ ხის ფუღუროში. ეს არის აქედან მზე-წვია ამოფრინდა. შეხეთ, ეგერ ტოტზე მზე-წვია. ღმერთმანი ეს იეო, ეს...

— აი დაგეფსოს თვალები, გაგიშრეს ხახა, შე სამაგალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენა? რას გიშავებ, რომ აგრე თვალებ-დასისხლიანებული დაეძებ ჩემს ბუდეს. რა გინდათ ჩემგან?... რამდენი ტანჯვა-წვალება გამოვიარე, რამდენი შიში ვნახე ამ ბუდის დადგმის დროს, ძლივს სხვების შეუმჩნევლად დავამთავრე, ჩავდე ნაცარა კვერცხები და ათი ბარტეი გამოვჩეკე. ორი, სამი დღის შემდეგ, უნდა დამეფრინა კიდეც და, თქვე გასაწყვეტებო, რა ჩემმა ცოდვამ მოგიყვანათ აქ დღეს; რას ერჩით ჩემს ბუდეს, ჩემს შვილებს?!

საცოდავად წრიპინებდა მზე-წვია.

— აბა, ბალღებო, თქვენ მიბიჯგეთ,—და მე ავფოფხდები ამ ხეზე. ღრუში ხელს ჩავუოფ; ბარტეებს ამოვასხამ. დასაფრენი ბარტეები იქნება. თუ გინდათ—დაგენაძლავებით,—გაჭიოდა ვანო.

— მაშ ჩქარა, ჩქარა,—ეგიროდნენ დანარჩენები. ვანოს სწრაფად იქეთ-აქეთ ამოუდგნენ, მოჭიდეს ხელები და ხეზე ასვეს. ის ცოტა კიდევ აიწია მაღლა, მიუახლოვდა ღრუს, დაიმკლავა და ნელა ჩაჭეო ხელი შიგ. ქვემოდ მდგომთ უმაწვილებს საშინელი მოუთმენლობა და აღელვება ემჩნეოდათ.

— აბა, ვანო, რა არის, რა? გველი არ იყოს ბიჭო,—შესძახოდნენ ქვევიდან და თან მეტის სიხარულის გამო ხტოდნენ?

—ჰოი, შვილებო, შვილებო,—სასოწარკვეთილებით იძახდა მზე-წვია:—გაგიხმეს ხელი, მოგტედეს მკლავი, შე არამზადა შენა. რას შვრები? რას ერჩი ჩემს მარგალიტს ბარტეებს? რა გინდა ჩემს ბუდესთან? რა ამაგი მაქვს თქვენი?.. ჰოი, მიშველეთ, დავიღუპე!—კვნესოდა საბრალო დედა და ბუდისაკენ მიიწევდა.

— აი, შეხედეთ! —დაიყვირა ვანომ და ერთი ბარტეი ამოათრია ბუდიდგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩამოაგდე, ვანო, ჩამოაგდე!—შესჭეიველეს ქვეშიდან. ვანომ ბარტეი ხელიდან გაუშვა და ისიც ფრთხიალით წამოვიდა ძირს. ეშაწვილებმა სწრაფად დასტაცეს ხელი და ეგითელ—ნისკარტა ბარტემა ერთის ხელიდან მეორე ხელში იწეო გადასვლა.

მოთმინების ფიალა აევსო გულ-დამწვარ დედას და თავ-ბრუ დახვეული ისარივით მივარდა ბუდესთან; გაბორგებული ეცა ვანოს ჰირის სახეზე და იქვე შესკუჰდა ტოტზე. მაგრამ ისევ მალე აფრინდა და თავ-განწირვით შეუტია მისულს მტერს.

— სახრე მოუქნიე, ვანო, სახრე!—უძახოდნენ ვანოს და თან სახრეებს აწვდიდნენ.—დედაც დავიჭიროთ, დედაც.

ეშაწვილების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.., ვანოს თითო-თითო ამოჰყავდა ბუდიდან ბარტეები და ამხანაგებს ისროდ, ისინიც თავიანთ შორის ინაწილებდნენ.

— ვაიმე, შვილებო, ვაიმე—როგორ დაიღუპენით... ვაიმე, ჩემო თავო... გმინავდა აცრემლებული მზე-წვია და ხან აქეთ ასქდებოდა, ხან იქით. ერთი მაინც დამიტოვეთ, თქვე გასაწუვეტნო, ერთი. რათ მიკლავთ გულს? ბარემ მეც მომკალით, მეც, ჩემს შვილებთან ერთად წამიეგანეთ... და ფრთებ-დაწურული დაეშვა ბუდისაკენ. ვანო კატასავით ეცა, უნდოდა დაეჭირა, მაგრამ ჩიტი დაუსხლტა ხელიდან...

ვანომ ეველა ბარტეები ამოასხა, ბუდეც აშალა და შემ-დეგ ჰატარა ცელქები მხიარულის ჟივილ-ხივილით გაეშურნენ ტეისაკენ ბუდეების საძებრად.

მზე-წვია-კი გაშეშებული იჯდა ტოტზე და მწუხარებისა-გან ცრემლად დნებოდა.

— ვის შეეხიეოლ, ვის, ჩემი უბედურება! ვინ დამიბრუ-ნებს ჩემს საყვარელ შვილებს?.. ვაიმე შვილებო! რა მოგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისთ?! ხვალინდელ გარიჟრაჟს იქნება ვერცხ-ჯი მოჭმა? ოჰ, საძაგლებო! რისთვის წაძართვით შვილები? რას გიშავებ-დნენ ისინი? რას?..

სტიროდა, კვნესოდა საბრალო მზე-წვია და აუტანელ მწუ-სარების გამო გული მისდიოდა.

ილ. რუხაძე.



მჯედელი

(ფრანგულით).

ეო ერთი ემაწვილი. მჭედლობა ძალიან უყვარდა და მშობლებმა მჭედელს მიაბარეს ხელობის სასწავლებლად. როცა ხელობა კარგად ისწავლა, წავიდა ერთს დიდ ქალაქში და თავისი საკუთარი სამჭედლო გაპართა.

ისეთი კარგი და გამოცდილი მჭედელი დადგა, ისე კარგად ეჭედავდა ხოლმე საქონელს, რომ ბოლოს დიდი სახელი გაითქვა. ქვეყანა იმას იმახოდა, მაგისთანა კარგი მჭედელი ჯერ არაგის გვინახავსო. მჭედელსაც თავი მოეწონდა.

ამოდენა ქებამ გონება იმდენად შეურეია, რომ ერთხელ სამჭედლოს კედელზე, გარედან, დიდი ქაღალდი გაპოაკრა და ზედ შემდეგებელის ასოებით დაეწერა: **„საუკეთესო მჭედელი მე ვარ, მასწავლებელთა მასწავლებელი, მძლეთა მძლე.“**

იმ ქალაქის მცხოვრებთ ძალიან გაუკვირდათ ასეთი წარწერა; მაგრამ უფრო ძალიან ის გაუკვირდათ, რომ, გამოაკრა თუ არა ასეთი ქაღალდი, თან-და-თან, სულ ცუდად და ცუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დად სჭედავდა საქონელს, და ნალებსაც თან-და-თან ეჭედ-თებდა...

ხალხმა ეაეანი და ჩივილი დაიწყო, მჭედელი არ გეი-ვარგა...

იმდენს ეაეანებდნენ და ეგინოდნენ ამ მჭედლის უვარგი-სობას, რომ ბოლოს ღმერთმაც გაიგო...

ღმერთს არ უეეარს ამბარტაენები და ხშირად დასჯის ხოლმე...

ერთს მშვენიერ მზიან დილას ჩვენი მჭედელი ნალს აკე-თებდა...

რაკი ასეთი კარგი ამინდი იყო, კარგ გუნებაზე დადგა და მუშაობის დროს მხიარულად ღიღინებდა.

ამ დროს სამჭედლოში ერთი ასალგაზდა უცნობი კაცი შემოვიდა, გაჩერდა მჭედლის წინ და უეურებდა. მჭედელ-მა რომ დაინახა, ძალიან ტკბილად ჰკითხა: „ძმობილო, რა გინდაო“...

უცნობმა ემაწვილმა უთხრა:

— შენი წარწერა წავიკითხე, მასწავლემელთა მასწავლებე-ლი, ძმლეთა ძმლე ვარო, და მინდა გავიგო, მართალია თუ არა.

— მერე ამის გაგება რაში გამოგადგება?..

— თუ მართლა ჩემზე უკეთესი და მოხერხებული მჭედე-ლი ხარ, შეგირდად მოგებარები...

— განა შენც კარგი და მოხერხებული მჭედელი ხარ?

— იმდენად კარგი და მოხერხებული, რომ არა მგონია ჩემზე უკეთესი სხვაც იყოს ვინმე მთელს ქვეყნიერობაზე.

მჭედელს ეწყინა ასეთი ჰასუსი და ამაყად უთხრა:

— ნალის გასაკეთებლად რამდენჯერ ახურებ რკინას? მე მხოლოდ სამჯერ ვახურებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე-კი მხოლოდ ერთხელ,—უთხრა უცნობმა.

— შენ, ძმაო, მგონი ცოტათი გიჟი ეოფილხარ...

— გამოძცადე და ნახავ... აბა, ერთი რკინა მოძეცი.

მჭედელმა რკინა მისცა. ემაწვილმა გაახურა, მერე ჩაქუჩი აიღო და რკინას ცემა დაუწყო.

თვალის დახამხამებაზე ისეთი საუცხოო ნალი გააკეთა, რომ მჭედელს უკვირდა და თავის თავი სიზმარში ეგონა.

— აქ რაღაც ეშმაკობა უნდა იყოსო,—სთქვა მჭედელმა.

— არაფერი ეშმაკობა არ არის,—უპასუხა უცნობმა: აკი გითხარი, ჩემზე უკეთესი მჭედელი ქვეყნიერობაზე სხვა აღარავინ მეგულება-მეთქი.

— ეგრე მარდად გაკეთებული ნალი მაგარი არ უნდა იყოს...

— აი, გასინჯე, ნახე, როგორია.

მჭედელმა აიღო ნალი, აქეთ გადმოაბრუნა, იქით გადაბრუნა, და რაკი ნაკლულევანება ვერაფერი ნახა, უთხრა უცნობს:

— ვეღარაფერი გამიგია, ძმაო, ერთი მითხარი,—საქონლის დაჭედვაც იცი?

— როგორ არ ვიცი, აბა ერთი ცხენი მამგვარე...

მჭედელმა ცხენი მიჰგვარა, მერე თოკი მოიტანა, ცხენის კუდზე უნდა მოება, როგორც მჭედლებს ჩვეულებად აქვსთ, მაგრამ ემაწვილმა უთხრა:

— ეგ საჭირო არ არის.

— როგორ-თუ საჭირო არ არის!—გაიკვირვა მჭედელმა: ჰირუტევი უამისოდ არ დაგნებდება...

— აი, ნახავ, სხვანაირი ხერხი ვიცი...

ემაწვილმა ჰასუხს აღარ მოუცადა, სახქაროდ მიეიდა ცხენთან, ჯიბიდან დანა ამოიღო და მარდად მოაჭრა ცხენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენს უკანა ფეხი; ისე მოაჭრა, რომ ერთი წვეთი სისხლიც არ დაღვრილა და ცხენიც არ დატოკებულა. მერე მოჭრილი ფეხი დაჭედა, მიადო ცხენს და გაუმთელა... მეორე ფეხსაც ასე უქო, მესამესაც, მეოთხესაც...

შენ, ჩემო ბატარა მკითხველო, ამ სტრიქონების კითხვას უფრო მეტი დრო მოანდომე, ვიდრე იმ ემაწვილმა ოთხის ფეხის მოჭრას, დაჭედვას და გამთელებას მოანდომა...

მჭედელი გაკვირვებული უყურებდა, თავის გუნებაში სულ „დიდება შენთვის, ღმერთო“-ს გაიძახოდა. ბოლოს უთხრა:

— ეგ ხომ მეც ვიცოდი...

— მართლა?

— მართალა მაშ!!.

— თუ იცოდი, მაშ რატომ ასრე არ აკეთებდი?

— ბევრი დრო მიდის...

უცნობმა სიცილი დაიწყო...

მერე მჭედელმა მაინც ამაუად უთხრა: „შეგირდად მომებარე, მაინც ბევრ რასმეს გასწავლიო“. ემაწვილი დასთანხმდა.

ამ დროს მჭედელთან ერთი მხედარი მოვიდა და უბრძანა, ცხენი დამიჭედეო. მჭედელს გაეხარდა, ჩემს ცოდნას გამოვიჩენო. თავისი შეგირდი რაღაც საქმისათვის ქალაქში გაგზავნა, თვითონ მივიდა ცხენთან, ჯიბიდან დანა ამოიღო და ცხენს უკანა ფეხი მიაჭრა. სისხლმა დენა დაუწყო. მხედარმა გუნებაში გაიღიმა, მჭედელს-კი მრისხანედ უთხრა, რას სჩადი, ცხენი არ მომიკლაო.

მჭედელმა უთხრა:

— წაიკითხე კედელზე რა სწერია? ძე ვარ მასწავლებელთა მასწავლებელი, მძლეთა მძლე,—მაგრამ თანაც ეშინოდა, ეს რა დამეძართა, ცხენს სისხლი რად დაედინაო. მოჭრილი ფეხი დაჭედა, მერე ცხენს მიადო, მაგრამ ვერ იქნა—ვერარ გაუმთელა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენს-კი სისხლი სდიოდა, და ულონოდ მიწაზე დაეცა.

— ეგ არის შენი ოსტატობა? შენა ხარ მასწავლებელთა მასწავლებელი, მძლეთა მძლე?—დაუყვირა მხედარმა.

მჭედელი გაფითრებული, ხახა-შშრალი იდგა და ალარ იცოდა, რა ექნა.

ამ დროს მისი შეგირდიც დაბრუნდა.

ოსტატმა უამბო, აი, რა მოძიებიდაო... ღმერთმა დამსაჯა, რომ ჩემი თავი შენზე უკეთესი მჭედელი მეგონაო.

— არა უშავს-რა,—უჭას-უსა შეგირდმა,—გულს ნუ გაიტეხ, ფეხს გაუმთელებ.

აიღო ფეხი, მიადო ცხენს და მართლაც გაუმთელა.

მჭედელმა ეს რომ დაინახა, მივიდა კედელთან, მოგლიჯა დაწერილი ქაღალდი, ნაგუნ-ნაგუნად აქცია და სთქვა: „მასწავლებელთა მასწავლებელი-კი არა, შეგირდი ვეოფილვარო“.

გიორგი ჯა—რი.





ბიჭო გოგია.

ათენდა დილა, დილა მშვენიერი, საამური. მზეს ჯერ არ გადმოეხედნა მირს ბარისაკენ, მაგრამ მთის წვერი-კი ისე შეელებნა წითელად, ასე ეგონებოდა კაცს: იქ ვისმე დიდი ცეცხლი აუნთია და იმისი ალი აშუქებს არე-მარესო.

გამოიღვიძა ჩვენმა მოლაღურმაც, დაბარტყუნა ფრთები, ნისკარტზე ფეხები გაისვ-გამოისვა. და, დაიბანა რა ამ გვარად ჰირი, მიარწ-მოარწია ბუდე, რომ გოგიას არ გამოჰღვიძებოდა და გაეშურა საჭმლის საშოვნელად.

ლამაზ გოგიას-კი ტკბილად ეძინა ეკითელ ხეწრის ქვეშ. ხანდისხან წამოუქროლებდა ნიავი, ნაზად გაარწევდა, და აშრიალებდა კაკლის ფოთლებს,—ისე, თითქოს დედის ნაცვლად ისინი უმღეროდნენ ნანინას მძინარ გოგიას.

მზემაც შეიმაღლაურა, წამოვიდნენ. მირს მისი სხივები და ოქრის ძაფებივით გაებნენ მინდორსა და მთის შუა. უფრო ანმაურდა არე-მარე; ამღერდა მოლად ტყე და მინდორი.

,,ბიჭო-გოგია, ბიჭო-გოგია!'' მოისმა მოლაღურის ხმაც კაკლის შტოებში და, ცოტა ხანს შემდეგ, ის უკვე ჰირდაღებულ გოგიას აჭმევდა გემრიელ ჭიას. გაამღო გოგია,—ახლა თავისთვის უნდა ეზრუნა. თვითონაც, რასაკვირველია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭშიოდა. ცოტა არ იყოს, სიცხემაც უმატა და არჩია ბუდეში წასულიყო, მით უმეტეს, რომ ისე დაეინებით სთხოვდა ნათლიჯანლაბი ქორწილში დასწრებას.

— კარგად იცნობდა ძველ ეკკლესიის გარშემო მუსიანს, სადაც ევავს ახალი ბინა გაეკეთებინა. მშვენიერი იყო ეს ადგილი: ძირს ხშირი მწვანე, მაღლიდან დიდრონ ხეების გადაკამარებული შტოები. იქავე მხიარულ რუს ჩხრიალი გაჰქონდა. რაც უნდა სიცხე ეოფილიყო, აქ ეოველთვის გრილოდა და საკვებიც ბლომად მოიპოვებოდა. დილიდან სადამომდე ათასგვარ ფრინველს გაჰქონდა ჟრიამული და ახმაურებდა იქაურობას. მოლაღური ფრთებით ნაზად მიაწვა ბუდის პირზე ამოცოცებულ ბიჭო-გოგიას და ბუდის ძირში ჩააწვინა. გამალარი გოგია დაემორჩილა დედის განკარგულებას. შემდეგ აფრინდა კაკლის კენწეროზე, მიათვალ-მოათვალიერა გარშემო ადგილი და, რა დარწმუნდა, რომ გოგიას საფრთხე არსაიდან არ მოელოდა, მოწურა ფრთები და გაეშვა ისარივით ტეისაკენ.

შეფრთხიალდა თუ არა მოლაღური მუსის ტოტებში, უცებ შეიქნა საშინელი ეკირილი და მიგებება.

— გულეგითელას გაუმარჯოს!

— ჩვენს მოლაღურს გაუმარჯოს!

— ვინც მოვიდა—გაუმარჯოს!

დაიგრიალა ერთბაშად მაერიონმა, რომელიც შეკრებილიეო ეკეავის ქორწილზე. ღუღუნა ქედანი მაშინვე მისკენ წამოვიდა და გადაჰკოცნა თვისი დობილი. გვრიტი ავერდზე ამოუჯდა და მუსაიფი გაუმართა ახალ სტუმარს. ეკელანი მის ეკითულ გულისპირს ათვალიერებდნენ. ვინ ვინდა აქ არ იყო: ლამაზი ხოხობი, თავ-საგარეგანელა ოფოფი, ფრთებ-ბარტყუნა შრიმანი, შტვენია მაშეი, ჟრიგ-ჟრიგა მერცხალი, გულ-ნისკარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტა ხე-კაკუნა, დედამიწის ზურგზე პირველი მიმდინარეობა-ბული, ლაპარაკით მოუდალავი კაჭკაჭი, ხუმარა ჩხიკვი და ვინ იცის კიდევ რამდენი სხვანი.

დიდი, დიდი ქორწილი ჰქონდა ჩვენს ეკვეს. ისა და მისი ეკანჩალა მუხის წვერზე ბუდის ზევით ისხდნენ, წესარად, ჩუმად, როგორც მეფე-პატარძალს შეჰფერის.

ბურბაურისა და ხმაურობის შემდეგ უცებ დუმილი ჩამოვარდა; ყველამ ქვევითკენ კისერი წაიგძელა.

— კაჭ—კაჭ—კაჭ! შეატეობინა მაერუებს კაჭკაჭმა, რომ იქ, ქვევით, მუხის ქვეშ ვიღაც მოსცურავდა ბალახებში. მართლაც და ცოტახანს შემდეგ მაერუებმა კარგად დაინახეს მელია, რომელიც ბალახებიდან ნელ-ნელა ფეხზე წამოდგა და გასერდა მუხის ქვეშ. ხმას ა-ავენ არ იღებდა, მხოლოდ კაჭკაჭი არ აეენებდა ენას და მოუსვენრად ტრიალებდა მუხის ტოტზე.

— რომელი ხართ, შეილო, ეს მანდ ზევით, მოჭედეთ უსინათლოს...—დაიწუწუნა მელიამ, ფესი შუბლზე მიიდვა და ნასეერად მოხუჭულ თვალებით ზევით შეიხედა.

— რა გნებავთ, მია მელიკო, ვინ გნებავთ, ვის ეძებთ?— ჩამოეკითხა ზევიდან კაჭკაჭი.

— გინაცვალეთ, თუ ხოხობი არის მანდ სადმე, მოახსენეთ, ერთს წუთს ქვევით ჩამობრძანდეს!—შეევედრა მელიკო.

— რისთვის გნებავთ, რა გესაქმებათ, ბატონო?—ჩამოეკითხა ისევ კაჭკაჭი, ხოხობმა-კი ხელი განაბა და თავი ხის ფოთლებში ჩაჰყო, მელიკომ არ დამინახოსო, თუმცა ბოლო კი ისევ უჩანდა.

— რადა რისთვის მნებავს,—ამოიკვნესა მელიკომ,—ნუთუ ვერ მაცნევთ, რომ უსინათლო ვარ; მასწავლეს, მეელ ეკლესიის ახლო თუ ხოხობი შეგხვდეს, მისი ბოლო მოისვი თვალებზე და მოგირჩებაო. ნუ დაიშურებთ, აგრეთვე ერთი ჩემს დღეს აგაცდენთ, ჩემთვის წამალს, უბრალო ბუმბულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, მია მელიკო, აქ არ გახლავთ ვისაც ემეგობ-ლის ცხონება თუ გინდა, აგერ ეკლესია: მიბრძანდი და, რამდენიც გნებავთ, ილოცეთ,—ურჩია კაჭკაჭმა.

— ეჰ, რა გაეწყობა,—დაიწუწუნა მელიკომ და ის-კი იეო წასვლა დაანირა, რომ ოფოფმა ვედარ მოითმინა და თავისებურად დაიძახა: ,,ოფ-ოფ!''

— უი, აგრემც მრავალ ამ დროს დაგასწრებს უფალი, შენ მაინც ჩამობრძანდი და ერთი შენის საკარცხლით ულვაშები გადამკარცხნე, თორემ სირცხვილია, ასეთი აბურძგვნილი როგორ შევიდე ეკლესიაში!—შეეკედრა ახლა ოფოფს მელიკო.

— გეეოფა, გეეოფა ტეუილები, მელიკო მიავ: ვიცით შენი მუცლის გვრემა რაც არი. ,,ვერ მოგართვეს ბადრიჯანი, ნუ დაგერჩები ხათრი ჯანი.'' შენი მოსატეუარი ნისკარტიც კარგა ხანია მოვიცვალე,—დასცინა ზევიდან ჩხიკვმა და ეველამ ხარხარი დაიწყეს.

მელამ კუდი ამოიძუა, მაგრამ ნირი მაინც არ გაიტეხა და ნელ-ნელა გასწია ეკლესიისკენ, თანაც ხან ერთ ხეს წაანწედებოდა, ხან მეორეს, ვითომ მართლაც ვერა ჭხედავს, თვალები არ უჭრისო. მიიმალა თუ არა ბალახებში, მაერებმა ერიამული ასტეხეს, გამხიარულდნენ: ზოგი მელიას ეშმაკობას დასცინოდა, ზოგიც ჩხიკვის მოსწრებულ სიტყვას იმეორებდა. ხოხობმაც თავი გამოჭეო ფოთლებიდან და გული დაიმშვიდა.

— გამხიარულდით, ვენაცვალეთ, გამხიარულდით, ნათლი; ერთი შენებური დიპლიპიტო დაუკარ, თამაშობა გამართეთ,—შეესვეწა ბატარძალი ხეკაკუნას.

ხეკაკუნა მართლაც მიეკრა მუხას ფრჩხილებით და ნისკარტით კაკუნი ასტეხა. მას მიჰყვნენ სხვებიც. ,,ოფ-ოფ-ოფ!''

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბა ოფოფმა: ,,გუ-გუ-გუ-გუ'',—მისცა ბანი გუგულმა: ,,ჯაჭ-ჯაჭ-ჯაჭ!''—ჩაერია ჯაჭჯაჭი. ბულბულმა ,,ტიავ-ტიავ'' შემოსძახა. შაშვმა შტვენა მიაყოლა. აქრიკქრიკდა მერცხალი. ,,კრუ-კრუ-კრუ'' შეუხმატკბილა გვრიტმა. ,,ტაშ-ტაშ-ტაშ,'' დაუკრა გვერდებზე ტაში ფრთებით შროშანმა და გაიმართა დავლური.

ელ-ოდერებული ქედანი მწვანეზე დაეშვა, შემოუარა მუხას ნარნარად, შედგა ფრჩხილებზე და გამოიწვია მოლაღური სათამაშოდ. მოლაღურმაც კოხტად შეიქნია მხრები, ორივე ფრთა გაშალა და ისე მშვენიერად დაუარა თავის უვითელს კაბაში, რომ იქ მეოფნი ცარიელ თვალებად გადაიქცნენ. ნაზად მიუახლოვდებოდა ხოლმე ელ-ოდერებულს, კოჰწია ცალ-ფრთა მაღლა აწეულს ქედანს, დაუტრიალდებოდა ფრთის ქვეშ და მერე უცებ გაუსხლტებოდა განზე. მისის ეშხით გაგულისებული ქედანი გამოედევნებოდა უკანიდან, შესდგებოდა იმის წინ, მიუტრიალდ-მოუტრიალდებოდა და გამოიტაცებდა ხოლმე თამაშობით თავის მედავლურეს ისევ შუა მხრისაკენ.

— ვაშა, ვაშა!—დაიგუგუნა ვაშამ და ტაშმა, როდესაც მოთამაშეებმა ერთმანეთს თავი დაუკრეს. ,,მშვენიერი იყო, მშვენიერი'',—უშტვენდა შაშვი. ,,ტიავ-ტიავ-ტიავ,'' დიად, დიად, დიადო,—ადასტურებდა ბულბული. ხეკაკუნა კი არა დგებოდა და ისევ ისე აკაკუნებდა თავის დიპლიპიტოს. შაშვმაც თავის სალამური ხელ-ახლა ააყოლა, შროშანმა—ტაში, მოჰყვენენ სხვებიც და კვლავ გაჩაღდა დავლური.



ოგოგას ქსელი.

(ვაგნერიდან)

ეაწია ობობა ზაფხულს მინდორში ატარებს. იჭერს ბუზებს და იმ კოდოებს, რომლებიც ასე აუტანლად იკბინებიან ხელებსა და ჰირის სახეზე. ზამთრისათვისაკი ჰატარა ცხოველი, რომელმაც ზაფხული მინდორში გაატარა, რადგანაც სიცივისა მეტად ეშინიან, დროზე უნდა შეეცადოს თბილი და უშიშარი ბინა მოსძებნოს.

შემოდგომაზე ჰაწია ობობა უკვე ფიქრობს მომავალ ზამთრისათვის და ისიც, როგორც თბილ ქვეყნების მომძებნელი ფრინველი, სამგზავროდ ემზადება და შორეულ გზას ადგება. ფეხით, რასაკვირველია, შორს ვერ წავიდოდა; ჰატარა ღელეც კი გზას შეუკრავდა.

მაგრამ ჭკვიანმა ობობამ კარგად იცის, როგორ დაადწიოს თავი ამ გაჭირებას. ობობა, როგორც გამოცდილი მეზღვაური, ამინდს თვალ-ყურს ადევნებს. ,,დღეს",—ფიქრობს გულში,— ,,მზიანი დღეა! დღეს მარჯვე ქარია, არც ძალიან სუსტია, შეიძლება გზას გაუდგე!"

ობობა სწრაფად მირბის ხეზე და რომელსამე ტოტის ბოლოზე ჯდება. აქ თავზე დგება და ტანის უკანა ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილს, სადაც განსაკუთრებული საქსოვი მარღვები აქვს, ძა-
ღლა სწევს.

მაფსა ჭქსოვს. ქარი ამ მაფს უფრო და უფრო სწელავს;
ბოლოს ისეთი გრძელი ხდება, რომ ობობას სიმძიმეს ვეღარ
უძლებს: მაფი წედება და ობობაც ქსელის ბოლოზე განაბუ-
ლი ჰაერში მიფრინავს.

ასე მოგზაურობს თავის ქსელზე ერთი მხრიდგან მეორე
მხარეს. ქარს უფრო მაღლა და შორს, მდინარეებსა და მინდვ-
რებზე, სახლის თავებზედაც კი გადააქვს.

ბოლოს ობობა დაიღალა და დასვენება მოუნდა. როგორ
უნდა მოიქცეს, რომ თავის ჰაეროვან ხომალდით მიწაზე დაე-
შვას? ობობამ ამის ხერხიც კარგად იცის. თავის მარდ ფეხე-
ბით სწრაფად იჭერს ფრინვის დროს ქსელს და ნელ-ნელა
ნასკვებს აკეთებს. რაც მეტ ნასკვს გააკეთებს და ქსელს და-
ამოკლებს, მით უფრო უშიშარი ხდება მისთვის ქარი. ქარს
ესლა კი აღარ შეუძლია ისე თავისუფლად აფრიალოს ჩვენი
მოგზაური ჰერში და ობობა ნელ-ნელა ძირს ეშვება.

აქ კი ობობა საზამთრო ბინის ძებნას იწყებს. თუ აქ თა-
ვის გამოსადეგი ვერა ნახა, ხვალ ხელ-ახლა მგზავრობას შე-
უდგება. მართალია, ობობას თავის ნებაზე არ შეუძლია თავი-
სი ხომალდი—ქსელი საითაც უნდა, იქით წაიყვანოს და ამი-
ტომაც იძულებულია ქარის ნებას დაემორჩილოს. მაგრამ ამის
დარდი სრულებით არა აქვს, ოღონდ-კი შესაფერი ბინა იშო-
ვოს ზამთრისათვის, და მისთვის სულ ერთია, სადაც იქნება
ეს ბინა მოთავსებული.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მგალობელი ჩიტი.

(თარგმანი)



შვენიერი დარი იდგა. ოლიკო და ტასო წავიდნენ დედასთან ერთად ბაღში სასეირნოდ და ჩამოსხდნენ სკამზედ იქვე შესავალთან.

— მგალობელი ჩიტები! მგალობელი ჩიტები!—წამოიძვერა უცბად წკრიალა ხმით სოფლელმა ბიჭმა, მიუახლოვდა თუ არა ბჭისკარს, გალიით ხელში. გალიაში ფთხრიალებდა და ჭეტოდა ჰატარა ჩიტი.

— იყიდე, ქალბატონო, ჩიტი,—სთქვა ბიჭმა და დაანახვა გალია ოლიკოს და ტასოს დედას.

ბავშვებმა სიხარული შეჭქნეს და ერთხმად დაუწყეს ხვეწნა დედას, გვიყიდე ჩიტიო.

— არა, ბავშვებო, თქვენთვის კი არ ვიყიდი და, თუ გინდათ, ვიყიდოთ მხოლოდ იმისთვის, რომ დაუბრუნოთ თავისუფლება; იცით, როგორ გაიხარებს, რა მხიარულის გალობით გეტყვით მადლობას!

ოლიკო, როგორც უფროსი, ჰირველი დათანხმდა დედას. იყიდეს ჩიტი და გაუშვეს. მხიარულად შეიფთხრიალა განთავისუფლებულმა ჩიტმა და გაჭქრა ჭაერში. ბავშვებმა ძლივს შეავლეს თვალი.

დაბრუნებისას, როდესაც ბავშვებს მობეზრდათ თამაშობა თავიანთ ახალ-სათამაშოებით, მოაგონდათ ბიჭი და მგალობელი ჩიტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედი, — დაეკითხა ოლიკო, — რად ეგირონდა ბიჭი — ბ ლობელი ჩიტია?

— იმისთვის, რომ სწორედ ეგ ჩიტები, რომელთაც ისა ჭეიდდა, არიან მგალობელ ფრინველთა ჯიშისანი. ბევრია სხვა ფრინველი, რომელმაც გალობა სულ არ იცის, მაგალითად: მტრედი, ისვი, ბატი, ქათამი და ბევრი სხვა.

— როგორ, განა ქათამიც ფრინველია? — ჰკითხა ოლიკომ დედას, — ის ხომ არა ფრინავს?

— ფრინველია, ჩემო გოგონავ. ფრინველს ვეძახით ყველა ცხოველს, რომელიც შემოსილია ბუმბულით, აქვს ფრთები საფრენად და ფეხები სასიარულოდ. ისინი სჩეკავენ ბარტყებს თავიანთ დადებულ კვერცხებიდგან. ზოგიერთ ფრინველს ფრთები ძალიან გრძელი და ღონიერი აქვს, ამიტომ კარგად დაფრინავს; რომელსაც ფრთები ჰატარა და უღონო აქვს — როგორც მაგალითად ქათამი — უკეთ დარბის. შენს ქუდზედ მშვენიერი თეთრი ფრთაა სირაქლემასი; სირაქლემა ყველა ფრინველზედ დიდია, არა ფრინავს, რადგან ტანთან შედარებით ფრთები მეტად ჰატარა აქვს; სამაგიეროდ ისე კარგად დარბის, რომ საუკეთესო ცხენი ვერ დაეწევა.

ოლიკო გულ-ძოდგინედ ისმენდა თავის საყვარელ დედის ლაპარაკს; ასეთი ამბები მეტად უყვარდა, რადგან ჭკვიანი გოგონა იყო.

— იცი, დედი, — უთხრა ქალმა და მოეხვია დედას, — ძალიან მისარიან, რომ გაანთავისუფლე დამწყვდეული ჩიტი. თავისიანებს დაუბრუნდება და კვლავ დაიწყებს მხიარულად გალობას.

— ეგრეა, ჩემო პაწაწებო, ფრინველები გალობენ კარგად მხოლოდ მაშინ, როცა თავისუფლები არიან.

N.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცანები

(აკაკისა).

I.

უფესო ვარ, მიფცინცილობ.
უენო ვარ — მივიმღერი.
ზამთარ-ზამთარ დაწუნებულს
ზაფხულში კი არ მეავს მტერი.

II.

მიყრბივარ, ისე სწრაფი ვარ,
რომ ვერ დამწვდება ქარიო,
მაგრამ სულ ვერარ ვინძრევი,
თუ დამიკეტეს კარიო.

ამოცანა — ცხრილით

(წარმოდგენილი კ. დარაშვილის მიერ).

ამოარჩიეთ ქართულ ანბანიდან შვიდი სხვა-და-სხვა ასო და მოათავსეთ თითო უჯრაში თითო ასო, ისე რომ ნაქარ-თველოს მდინარის სახელი გამოვიდეს.

ე	ფ	ს	ვ	ა	ო	ი

არითმეტიკული ამოცანა.

წარმოდგენილი დარ. აბელიშვილის მიერ.

1) რამდენიმე მანეთი გვაქვს: თუ მე ერთს მანეთს მო-გცემ, მაშინ თანასწორად გვექნება და თუ შენ მოგცემ ერთს მანეთს, მაშინ ორი მანეთით მეტი მე მექნება.

რამდენი მანეთი გვაქვს ახლა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებუსი.

(წარმოდგენილი დ. კარბელაშვილის მიერ).



მე-10 №-ში მოთავსებულ რებუსის ალსნა:

საბრალო დედაბრისასა თაგვნი ეანასა მკიანო.

რედაქტორი: ნინო ნაკაშიძე. გამომცემელი: თ. ბ. ი. თუმანიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ნაკადული“-ს რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

„ნაკადული“-ს რედაქციის გამოცემა:

1) **ზღაპრები ვილჰელმ და იაკობ გრიმისა.** — ფასი. 30 კ.
2) **ტომის თავგადასავალი,** — თხზულება მარკ ტვენისა, ფასი . . . . . 50 კ.
3) **რას გვიამბობს ოთახი,** — თხზულება ავენარიუსისა, ფასი . . . . . 20 კ.
4) **დასურათებული ასაწყობი ანბანი,** — ფასი. 1 მ. — „
5) **სკრუჯი და მარლეი,** — საშობაო მოთხრობა ჩარლზ დიკკენსისა, ფასი. . . . . 25 კ.
6) **სამშობლო ბუნების სარკე, დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები,** — ივანე ელიაშვილისა ფასი. . . . . 30 კ.
7) **ამხ. „ცისკრის“ გამოცემა:** — ლევ ტოლსტოის მოთხრობები, ფასი . . . . . 5 კ.
8) **შობა, მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან,** — ნინო ნაკაშიძისა ფასი, ... 5 კ.

ამ წლის 25 მარტიდგან გამოდის ქ. ქუთაისში ყოველდღიური ქართული გაზეთი

კოლხიდა

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი: ხელის მოსაწერი. ფული უნდა გამოგზავნოს ქ. ქუთაისს რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველი აპრილიდან წლის დამლევამდინ 5 მან. და 10 შაური. თვიური ოთხი აბაზი.

თითო ნომერი ერთი შაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა

1911 წლის იანვრიდან 1912 წლის იანვრამდის
საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

ფელიეტონი მეშვიდე

წლიურ ხელის მოწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

ვარდა ამისა 1911 წლის ხელის მოწერლებს საჩუქრად მიეცემათ:

I. ლევ ტოლსტოის მოთხრობა: **ბავშვობა** და **სიყრმე**“, თარგმანი, ლევ ტოლსტოის სურათით დ ბიოგრაფიით, — II. „**რჩეულ მოთხრობათა კრებული**“.

ჟურნალს ხელმძღვანელობს უწევს საგანგებოდ არჩეული სარედაქციო კომისია.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. სახევარის წლით სამი მან.

სამზღვარ გარედ: წლიურად შვიდი მანეთი. სახევარ წლით ოთხი მან.

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი **სამი** მან. — მოზრდილთათვის 12 წიგნი **სამი** მან. — ხელის მოწერა მიიღება წლიურად და სახევარი წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**
გამომცემელი **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**